ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქალაქი ბათუმი „-----“ „სექტემბერი„ 2026 წელი

„ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის სანაცვლო ქონების სახით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №გ-15.15250292 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის სანაცვლო ქონების სახით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №გ-15.15250292 განკარგულებით ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა №9 (74,35 კვ.მ.) სანაცვლო ქონების სახით გადაეცა ა.ა-ს. საცხოვრებელი და სანაცვლო ფართების დაანგარიშებისას დაშვებული იქნა შეცდომა, კერძოდ, ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნდა 74,35 კვ.მ. ავარიული საცხოვრებელი ფართი (ბინა №6) ნაცვლად განკარგულებაში მითითებული 73,4 კვ. მეტრისა, რის სანაცვლოდ მას გადაეცემა 73,4 კვ.მ. საცხოვრებელი ბინა ნაცვლად განკარგულებაში მითითებული 74,35 კვ.მეტრისა. შესაბამისად, შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით საჭიროა ცვლილება შევიდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №გ-15.15250292 განკარგულებაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის სანაცვლო ქონების სახით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №გ-15.15250292 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**1.** ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში, მე-2 სართულზე არსებული საცხოვრებელი ბინა №9 (73,4 კვ.მ.) სანაცვლო ქონების სახით გადაეცეს ა.ა-ს.“.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა 30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის სანაცვლო ქონების სახით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №გ-15.15250292 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის სანაცვლო ქონების სახით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №გ-15.15250292 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება, კერძოდ, ხსენებული განკარგულებით ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა №9 (74,35 კვ.მ.) სანაცვლო ქონების სახით გადაეცა ა.ა-ს. საცხოვრებელი და სანაცვლო ფართების დაანგარიშებისას დაშვებული იქნა შეცდომა, კერძოდ, მის ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნდა 74,35 კვ.მ. ავარიული საცხოვრებელი ფართი (ბინა №6), ნაცვლად განკარგულებაში მითითებული 73,4 კვ. მეტრისა, რის სანაცვლოდ მას გადაეცემა 73,4 კვ.მ. საცხოვრებელი ბინა, ნაცვლად განკარგულებაში მითითებული 74,35 კვ.მეტრისა. შესაბამისად, შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით საჭიროა ცვლილება შევიდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №გ-15.15250292 განკარგულებაში

ა.ბ) პროექტის არსი:

„ქალაქ ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განხორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში იმავე ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის სანაცვლო ქონების სახით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №გ-15.15250292 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება:

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

ე) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ვ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ზ) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

თ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ი) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური ქონების მართვის

სამსახური უფროსი **დავით კოპინაძე**